EU GEORGIA
TRADE INSIGHT

მე-3 გამოცემა – 2013 წლის ივნისი

CONTENTS

ძირითადი ფაქტები ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცესთან დაკავშირებით

- ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცესთან დაკავშირებით ევროკავშირსა და საქართველოს შორის მიმდინარე მოლაპარაკების პროცესი დასასრულს უახლოვდება 2
- საქართველოს ბიზნეს-საზოგადოება შეხვდა ევროკავშირის ელჩს 2
- 1 მაისს თბილისში გაიმართა კონფერენცია საქართველოში "კონკურენციის პოლიტიკის შემუშავების" შესახებ 3

საკითხი თვალის ერთი გადავლებით

- ვაჭრობა და ხარისხის ინფრასტრუქტურა 3

იცით თუ არა, რომ ...

- 2012 წელს გერმანია საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი იყო ევროკავშირის მხრიდან 6
- ექსპორტის დახმარების სამსახური ქართველ ექსპორტიორებს აწვდის ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორ გავიდნენ ევროკავშირის ბაზარზე 7
- საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოების დახმარება ევროკავშირის რეგიონული პროგრამის East Invest მეშვეობით 7

უახლოესი პერიოდის ღონისძიებები ვაჭრობის სფეროში 8

ძვირფასო მკითხველო,

უკანასკნელი თვეების განმავლობაში ვაჭრობის სფეროში ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობა ინტენსიური იყო. ამ ურთიერთობის შესახებ მომზადებული საინფორმაციო ბიულეტენის მესამე გამოცემაში ევროკავშირის წარმომადგენლობა მოგაწვდით უახლეს ინფორმაციას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალ სავაჭრო სივრცესთან (DCFTA) დაკავშირებული მოლაპარაკების პროცესის შესახებ, ასევე ინფორმაციას საქართველოში ვაჭრობის სფეროში მიმდინარე საქმიანობის შესახებ.

ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცესთან (რომელიც ასოცირების შესახებ შეთანხმების ნაწილია) დაკავშირებული მოლაპარაკების მეექვსე რაუნდი მარტის ბოლოს გაიმართა. მხარეები მოლაპარაკების დასასრულს უახლოვდებიან.

აღმოსავლეთ პარტნიორობის საკითხებზე ვილნიუსის სამიტი, რომელიც მიმდინარე წლის ნოემბერში უნდა გაიმართოს, მნიშვნელოვანი საფეხური გახდება აღმოსავლეთ ევროპის ბევრი ქვეყნისათვის. წინა, 2009 წლის სამიტის შემდეგ საქართველოში სერიოზული პროგრესი იქნა მიღწეული ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის მიმართულებით მუშაობაში, ადამიანების მობილურობის გაზრდაში. იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკება დასრულდება და საქართველო გააგრძელებს ძირითადი ევროპული ფასეულობების განუხრელად დაცვას, ვილნიუსში შესაძლებელია პარაფირებული იქნეს ასოცირების შესახებ შეთანხმების პოლიტიკური ნაწილი, რაც საფუძვლად დაედება შემდგომში შეთანხმების ხელმოწერას, რატიფიცირებას და, ცხადია, განხორციელებას ყველა მხარისთვის სასიკეთოდ. ზოგადად სამიტი იქნება მნიშვნელოვანი ფორუმი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისათვის, რათა მათ შეაფასონ ბოლო ორი წლის განმავლობაში მიღწეული შედეგები.

ჩვენი საინფორმაციო ბიულეტენის კიდევ ერთი მიზანია, უკეთ გაგაცნოთ ვაჭრობის მთავარი სფეროები. ამჯერად ძირითად თემებად ჩვენ შევარჩიეთ "ვაჭრობის წინაშე არსებული ტექნიკური ბარიერები" და "ხარისხის ინფრასტრუქტურა". თქვენ დაინახავთ, რომ ისინი არსებით როლს ასრულებენ პროდუქტების უფრო მაღალი ხარისხის უზრუნველყოფაში საქართველოს ვაჭრობისა და ქართველი მომხმარებლების სასიკეთოდ. ვაჭრობის წინაშე არსებული ტექნიკური ბარიერები უკავშირდება საქონლის თავისუფალ მოძრაობას და ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცესთან დაკავშირებული მოლაპარაკების დღის წესრიგის ნაწილია. ევროკავშირი მნიშვნელოვან დახმარებას უწევს საქართველოს ხარისხის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში.

The EU Delegation to Georgia

საინფორმაციო ბიულეტენი მხოლოდ ელექტრონული ფოსტით დაიგზავნება. თავისუფლად შეგიძლიათ გადაუგზავნოთ იგი დაინტერესებულ პირებს ან შემოგვთავაზოთ ახალი ადრესატები, რის შესახებაც ელექტრონული ფოსტის მეშვეობით აცნობეთ ბ-ნ ანტონიო ლო პარკოს, ვაჭრობის სფეროში ატაშეს ევროკავშირის წარმომადგენლობაში *(Antonio.lo-parco@eeas.europa.eu)*.

ძირითადი ფაქტები ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცესთან დაკავშირებით

ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცესთან დაკავშირებით ევროკავშირსა და საქართველოს შორის მიმდინარე მოლაპარაკების პროცესი დასასრულს უახლოვდება

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცესთან დაკავშირებით მიმდინარე მოლაპარაკების მეექვსე რაუნდი 2013 წლის 19-21 მარტს ბრიუსელში შედგა. რაუნდებს შორის პერიოდში მხარეები აგრძელებდნენ შეხვედრებს ვიდეოკონფერენციების მეშვეობით, რათა გაემართათ დისკუსიები გადაუჭრელ საკითხებზე. მხარეებმა საგრძნობ წინსვლას მიაღწიეს რიგი საკითხების განხილვაში, როგორიც არის სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები, ინტელექტუალური საკუთრების უფლებები, ელექტროენერგიით ვაჭრობა. დასრულებულად შეიძლება ჩაითვალოს მოლაპარაკება ისეთ საკითხებზეც, როგორიც არის ვაჭრობის წინაშე არსებული ტექნიკური ბარიერები, მდგრადი განვითარება, საბაჟო პროცედურები და ვაჭრობის ხელშეწყობა, ასევე საქონელზე საიმპორტო მოსაკრებლების გაუქმების განრიგი. ამ უკანასკნელ საკითხთან დაკავშირებით მიღწეული იქნა პრინციპული შეთანხმება. შესაბამისად, მარტის რაუნდი, ეყრდნობოდა რა აქამდე მიღწეულ პროგრესს, ძალზე ნაყოფიერი გამოდგა მოლაპარაკების წინ წაწევის თვალსაზრისით.

მხარეები უახლოვდებიან მოლაპარაკების დასასრულს. დარჩენილ ძირითად განსახილველ საკითხებს შორის არის მომსახურებათა საკითხი – კერძოდ, მომსახურების გაწევის შეთავაზება (მოიცავს (კომპანიების) დაარსებას, მომსახურების გაწევას სხვა ქვეყანაში და ფიზიკური პირების გადაადგილებას ბიზნესის მიზნებისათვის), და დავების მოგვარება. ამ სფეროებში ჯერ კიდევ გასაწევია გარკვეული სამუშაო. მხარეები ასევე მზად არიან, დაასრულონ მოლაპარაკება წარმომავლობის წესებთან დაკავშირებით.

> მხარეები ასევე მზად არიან, დაასრულონ მოლაპარაკება წარმომავლობის წესებთან დაკავშირებით.

ვინაიდან მოლაპარაკების პროცესი შეუფერხებლივ მიმდინარეობს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოლაპარაკება დასრულდება აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტისთვის, რომელიც 2013 წლის ნოემბერში ვილნიუსში გაიმართება.

საქართველოს ბიზნეს-საზოგადოება შეხვდა ევროკავშირის ელჩს

2013 წლის 23 აპრილს ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს-საბჭომ სასტუმრო "თბილისი მარიოტში" მოაწყო თავისი წევრების შეხვედრა საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელთან, ელჩ ფილიპ დიმიტროვთან.

ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს-საბჭომ ახლახანს ჩამოაყალიბა ვაჭრობის სფეროში სამუშაო ჯგუფი და მას განზრახული აქვს, ბიზნეს-საზოგადოებაში გაზარდოს ცოდნა და ინფორმირებულობა თავისუფალი ვაჭრობის ღრმა და ყოვლისმომცველ სივრცესთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ბ-ნმა ბადრი ჯაფარიძემ, აღნიშნა, რომ თუ გავითვალისწინებთ, რომ სრულდება მოლაპარაკება ასოცირების შესახებ შეთანხმებასთან, მათ შორის ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცესთან, დაკავშირებით, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობა მნიშვნელოვან ფაზაში შევიდა. ევროკავშირის ელჩმა განაცხადა, რომ "ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს-საბჭო მისთვის ძალზე მნიშვნელოვანია" და რომ ის სიამოვნებით რეგულარულად, როგორც კი მას მიიწვევენ, შეხვდება საბჭოს წევრებს. ელჩმა მოწვეულ სტუმრებს მოკლე ინფორმაცია მიაწოდა ასოცირების შესახებ შეთანხმებასთან და ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცესთან დაკავშირებული პროცესის ამჟამინდელ მდგომარეობაზე. მან განაცხადა, რომ შეთანხმების პოლიტიკური ნაწილის ტექსტი ფაქტობრივად დასრულებულია, თუმცა მოლაპარაკების მხარეებს დარჩათ დასადგენი გარკვეული ტექნიკური საკითხები. ბ-ნმა დიმიტროვმა აღნიშნა, რომ როგორც ქართულმა, ისე ევროპულმა მხარეებმა დიდი შრომა ჩადეს შეთანხმების ტექსტის საბოლოო სახით ჩამოყალიბებაში. სავარაუდოდ, ასოცირების შესახებ შეთანხმების პოლიტიკური ნაწილის პარაფირება მოხდება აღმოსავლეთ პარტნიორობის საკითხებზე სამიტზე, რომელიც 2013 წლის ნოემბერში ვილნიუსში გაიმართება. ელჩმა დიმიტროვმა განმარტა, რომ პარაფირება იქნება პირველი არსებითი ნაბიჯი – მოლაპარაკების წარმატებით დასრულების დადასტურება – თუმცა ის არ გულისხმობს ხელმოწერას და ძალაში შესვლას – ეს ხანგრძლივი პროცესია, რომელიც, აუცილებელი რეფორმების განხორციელებისა და ინსტიტუციონალიზაციის პარალელურად, დიდ დროს მოითხოვს

ძირითადი ფაქტები ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცესთან დაკავშირებით

1 მაისს თბილისში გაიმართა კონფერენცია საქართველოში "კონკურენციის პოლიტიკის შემუშავების" შესახებ

კონფერენცია ორგანიზებული იყო საქართველოს ევროკავშირის წარმომადგენლობის მიერ, გერმანული Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit-ის (GIZ) მხარდაჭერით. კონფერენციის მიზანი იყო კონკურენციის სფეროში ბოლოდროინდელი მოვლენების განხილვა ბიზნეს-საზოგადოებასთან ერთად. ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ, ქ-ნმა ნათია მიქელაძემ, ისაუბრა კონკურენციის სფეროში მიმდინარე რეფორმებზე, რაც ხელისუფლებისთვის ბოლო თვეების განმავლობაში პრიორიტეტს წარმოადგენდა. პროფესორმა ქეთევან ლაფაჩმა წარმოადგინა გადასინჯული კანონი კონკურენციის შესახებ. ბ-ნმა ქრისტიან ბლუმემ, შვედეთის კონკურენციის სააგენტოს მაღალი რანგის თანამდებობის პირმა, გააკეთა პრეზენტაცია ევროკავშირის კონკურენციის პოლიტიკის შესახებ და ისაუბრა წევრ სახელმწიფოებში არსებულ მაგალითებზე. ხელისუფლების მხრიდან შემოთავაზებულია არსებული კანონის შესწორებები, რომლებიც მალე პარლამენტს წარედგინება. გადასინჯული კანონპროექტის მიზანია მეტი შესაბამისობის მიღწევა საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან; მის საფუძველზე გაიზრდება კონკურენციის სააგენტოს უფლებამოსილება.

სათანადო კონკურენციის პოლიტიკის შემოღება ევროკავშირის მოთხოვნაა და ეს იყო ერთ-ერთი იმ საკითხთაგან, რომლებიც განიხილებოდა თავისუფალი ვაჭრობის ღრმა და ყოვლისმომცველ სივრცესთან დაკავშირებული მოლაპარაკების პროცესში.

საკითხი თვალის ერთი გადავლებით

ვაჭრობა და ხარისხის ინფრასტრუქტურა

რას წარმოადგენს ვაჭრობის წინაშე არსებული ტექნიკური ბარიერები?

ტერმინი "ვაჭრობის წინაშე არსებული ტექნიკური ბარიერები" ეხება სავალდებულო ტექნიკურ ნორმებს და ნებაყოფლობით სტანდარტებს, რომლებიც განსაზღვრავს იმ კონკრეტულ მახასიათებლებს, რომლებიც პროდუქტს უნდა ჰქონდეს, როგორიც არის მისი ზომა, ფორმა, დიზაინი, ეტიკეტი / მარკირება / შეფუთვა, ფუნქციონალურობა ან მუშაობის მაჩვენებლები.

ვაჭრობის წინაშე არსებული ტექნიკური ბარიერები, ჩვეულებრივ, შემოღებულია ხოლმე ქვეყნის ხელისუფლების ორგანოების მიერ, საჯარო პოლიტიკის ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად – როგორიც არის, მაგალითად, ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა და უსაფრთხოება, ცხოველებისა და მცენარეების სიცოცხლე და ჯანმრთელობა ან გარემო, ანდა მომხმარებელთა დაცვა ფალსიფიცირებული პროდუქციისგან. თუმცა ეს ბარიერები ზოგჯერ თვითნებურად არის ხოლმე შემოღებული და გამოიყენება პროტექციონიზმის გასამართლებლად.

ამიტომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმება ვაჭრობის წინაშე არსებული ტექნიკური ბარიერების შესახებ ("შეთანხმება ვაჭრობის წინაშე არსებული ტექნიკური ბარიერების შესახებ") უზრუნველყოფს იმას, რომ ქვეყნების მიერ შემოღებულმა ზომებმა არ გამოიწვიოს დისკრიმინაცია ან თვითნებური აკრძალვები საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში. ეს შეთანხმება არ ლახავს ქვეყნების მთავრობათა უფლებას, გაატარონ ზომები საჯარო პოლიტიკის ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად – ის უბრალოდ უზრუნველყოფს ამ სახის ზომების მომზადებას, შემოღებას და გამოყენებას ზოგიერთი არსებითი პრინციპის საფუძველზე (გამჭვირვალეობა, დისკრიმინაციის არარსებობა, პროპორციულობა, შესაძლებლობის შემთხვევაში საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება და ეკვივალენტურობა).

რატომ არის მნიშვნელოვანი ქვეყნის ხარისხის ინფრასტრუქტურის განვითარება?

ტერმინი "ხარისხის ინფრასტრუქტურა" აღნიშნავს იმ ინფრასტრუქტურას, რომელიც საჭიროა სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის, შესაბამისობის შეფასების (ინსპექტირების, ტესტირების, სეტიფიცირების) და აკრედიტაციის მომსახურების შემოღების და განხორციელებისათვის, რაც მიზნად ისახავს იმის დადასტურებას, რომ პროდუქტები და მომსახურება შეესაბამება კონკრეტულ მოთხოვნებს. ანუ საზომი სისტემა, სტანდარტები, ტესტირება და შესაბამისობის შეფასება მნიშვნელოვანია სამრეწველო პროდუქტების "ხარისხის" უზრუნველსაყოფად, მომხმარებელთა და გარემოს დასაცავად.

მწარმოებლები და მომხმარებლები ყოველდღიურად გამოიყენებენ ხარისხის ინფრასტრუქტურის კომპონენტებს ისე, რომ არც კი იციან ხოლმე ამის შესახებ. მაგალითად, ის ფაქტი, რომ ჭანჭიკები მიესადაგება ქანჩებს, რომ მობილური ტელეფონები მუშაობს და რომ ნივთიერებები მედიკამენტებში სათანადოდ არის დოზირებული, ხარისხის ინფრასტრუქტურის საქმიანობის შედეგია.

ქვეყნის ხარისხის ინფრასტრუქტურის სტრუქტურული ელემენტები

სტანდარტები
პროდუქტის, პროცესის ან მომსახურების მახასიათებლების განსაზღვრა

შესაბამისობის შეფასება
დადგენა იმისა, შეესაბამება თუ არა პროცესი, პროდუქტი ან მომსახურება დაწესებულ მოთხოვნებს

მეტროლოგია
გარანტირება იმისა, რომ საზომი სისტემა ზუსტი და საიმედოა

აკრედიტაცია
უწყების ტექნიკური კომპეტენციის ოფიციალური აღიარება

ზეგავლენა ვაჭრობასა და კონკურენტუნარიანობაზე

საერთაშორისო ვაჭრობამ პროდუქტებისა და მომსახურებების უშველებელ გაცვლა-გამოცვლას დაუდო სათავე. თუ ქვეყნებს სურთ, მოახერხონ საკუთარი პროდუქტების გაყიდვა, მათ უნდა შემოიღონ საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისი სტანდარტები და ტექნიკური ნორმები. ამიტომ ხარისხის მოქმედი ინფრასტრუქტურის არსებობა რეგიონული და საერთაშორისო ბაზრების მისაწდომობის წინაპირობაა.

კარგად ორგანიზებული და საიმედო ხარისხის ინფრასტრუქტურა წინაპირობაა არა მარტო საერთაშორისო ვაჭრობისთვის, არამედ ასევე გარემოს დაცვისთვის, ჯანდაცვის მომსახურებისთვის და სურსათის უსაფრთხოებისთვის, რაც საჭიროებს საიმედო სტანდარტებს, საზომ სისტემას და ტესტებს.

გლობალიზაცია ნიშნავს, რომ ბაზრის მისაწვდომობა უფრო და უფრო დამოკიდებულია პროდუქტებისა და მომსახურებების ხარისხზე და არა ფასზე. კომპანიის კონკურენტუნარიანობა შეიზღუდება, თუ მისი პროდუქტები, მომსახურებები ან პროცესები არ შეესაბამება კომერციულ გარიგებებთან დაკავშირებულ ხარისხის მინიმალურ მოთხოვნებს. და პირიქით, მაღალი ხარისხი, გონივრული ფასები და პროდუქციის რეკლამირებისა და ბაზრებზე შეღწევის გაწონასწორებული პოლიტიკა უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანობასა და ზრდას.

ურთიერთდამოკიდებულება ხარისხის ინფრასტრუქტურის კომპონენტებს შორის

ხარისხის ინფრასტრუქტურის ყველა კომპონენტი მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული:
სტანდარტი, პროდუქტის ზომებისა და მახასიათებლების გამოყენებით, ვერ იქნება განსაზღვრული საიმედო საზომი სისტემის გარეშე. შესაბამისად, მეტროლოგია იძლევა იმის გარანტიას, რომ საზომები ზუსტი და საიმედოა. მაგალითად, უზრუნველყოფს, რომ ერთი კილოგრამი რომელიმე ქვეყანაში ტოლია ერთი კილოგრამისა მეორე ქვეყანაში.

საზომი სისტემა უნდა იყოს საერთაშორისო მასშტაბით ჰარმონიზებული, რათა იძლეოდეს
შედარებების საშუალება.
პროდუქტი წარდგენილი უნდა იქნეს ტესტირებაზე, ინსპექტირებაზე ან სერტიფიცირებაზე, რათა დადგინდეს

შესაბამისობა სტანდარტებში ან ტექნიკურ ნორმებში განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

საერთაშორისო შეთავსებადობა მოითხოვს, რომ ტესტირების პროცედურები იყოს სტანდარტიზებული და, შესაბამისად, უზრუნველყოფდეს საიმედო საზომ სისტემას.

აკრედიტაცია აფასებს და აღიარებს შესაბამისობის შემფასებელი უწყების კომპეტენციას, შეასრულოს თავისი საქმიანობა (ამის მაგალითია საცდელი ლაბორატორია). მაგალითად, ტესტირების მიზნით ნიმუშების საზღვარგარეთ გაგზავნის ნაცვლად პროდუქტი შეიძლება ადგილობრივად შემოწმდეს საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული აკრედიტებული ლაბორატორიების მიერ, საერთაშორისო მასშტაბით დამკვიდრებული მეთოდების გამოყენებით.

რა ეტაპზეა საქართველო?

საქართველო გადავიდა პოსტსაბჭოთა, სახელმწიფოს მიერ კონტროლირებული ხარისხის ინფრასტრუქტურიდან ახალ, საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამის, პროცედურებზე. ეს ხელს შეუწყობს მსოფლიო ბაზრებზე საქართველოს კონკურენტუნარიანობის გაზრდას, ვინაიდან გაუმჯობესდება ქვეყანაში წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების ხარისხი და უსაფრთხოება. ეს ხელს შეუწყობს, აგრეთვე, ევროკავშირთან სავაჭრო ინტეგრაციის გაუმჯობესებას სამართლებრივ მოთხოვნებთან შესაბამისობის დამყარების საფუძველზე.

საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტირებული ბევრი პროდუქტი დაუმუშავებელი საქონელია. საქართველოს შეუძლია ვაჭრობის სფეროში საკუთარი კონკურენტუნარიანობის გაზრდა ევროკავშირში ისეთი პროდუქციის ექსპორტირებით, რომლის ღირებულება გაიზრდება დამუშავების შედეგად, თუკი ის უზრუნველყოფს ევროკავშირის ბაზრებზე მოთხოვნილი ხარისხისა და სტანდარტების დაკმაყოფილებას. გარდა ამისა, ევროკავშირის მოთხოვნების თანდათანობითი შემოღება გააუმჯობესებს ქართველი მომხმარებლებისთვის მიყიდული ან მათ მიერ მოხმარებული პროდუქტების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტებს (მაგალითად, ლიფტების, სათამაშოების ან სამედიცინო ხელსაწყოების, სამშენებლო მასალების უსაფრთხოება). სწორედ ამის მიღწევა გვინდა თავისუფალი ვაჭრობის ღრმა და ყოვლისმომცველი სივრცის მეშვეობით.

საქართველოში ხარისხის ინფრასტრუქტურის ორი ძირითადი დაწესებულება არსებობს: საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო და საქართველოს აკრედიტაციის ცენტრი.

ვაჭრობისა და მომხმარებელთა უსაფრთხოებისთვის თავისი მნიშვნელობის გამო ხარისხის ინფრასტრუქტურის დამკვიდრება და განვითარება ტექნიკური თანამშრომლობის იმ საქმიანობებს შორისაა, რომლებსაც ევროკავშირი აფინანსებს. საქართველოს ტექნიკური დახმარების სხვადასხვა პროექტის მეშვეობით ეწეოდა დახმარება.

საქართველოში დაიწყო საჯარო სამსახურების დაძმობილების (“ტვინინგის”) ორი პროექტის განხორციელება:

საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტების მთავარი მიზანია საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და აკრედიტაციის სისტემების გაუმჯობესების ხელშეწყობა საერთაშორისო აღიარების მოპოვების მიზნით.

პროექტები შექმნის წინაპირობებს პროდუქტების, მომსახურებებისა და პროცესების ხარისხისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის და ამით ხელს შეუწყობს საქართველოში ხარისხის ინფრასტრუქტურის განვითარებას და თავისუფალ ვაჭრობას, ასევე გაზრდის ქართული პროდუქტების კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ბაზრებზე.

საჯარო სამსახურების დაძმობილების აღნიშნული პროექტების გარდა, ხორციელდება ევროკავშირის პროგრამა “ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარება”, რომელიც მიზნად ისახავს ვაჭრობის სფეროს კონკრეტული ინსტიტუციების ქმედუნარიანობის გაზრდას.

საქართველოში მეტროლოგიისა და სტანდარტიზაციის სისტემების გაუმჯობესება: 1.4 მილიონი ევრო, ხანგრძლივობა - 28 თვე. პროექტს ხელმძღვანელობს გერმანულ-ლიტვური კონსორციუმი, რომელიც საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს უზიარებს გამოცდილებას და აცნობს საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს.

საქართველოში აკრედიტაციის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება: 1.15 მილიონი ევრო, ხანგრძლივობა - 21 თვე. პროექტს ხელმძღვანელობს გერმანულ-ლატვიური კონსორციუმი და მისი მიზანია საქართველოში აკრედიტაციის სისტემის მოდერნიზება.

იცით თუ არა, რომ ...

2012 წელს გერმანია საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი იყო ევროკავშირის მხრიდან

- ევროკავშირი საქართველოს [1]1 სავაჭრო პარტნიორია. 2012 წელს ევროკავშირთან საქართველოს ვაჭრობის მოცულობა 2.6 მილიარდი ევროს ტოლი იყო (584 მილიონი ევროს ექსპორტი ევროკავშირში; 2.1 მილიარდი ევროს იმპორტი ევროკავშირიდან);
- საქართველოდან ექსპორტი უმთავრესად ხორციელდებოდა გერმანიაში (ევროკავშირში საქართველოდან მთელი ექსპორტის 31.8%), რომელსაც მოჰყვებოდნენ ბულგარეთი (29.7%) და იტალია (7.8%);
- საქართველოში იმპორტი უმთავრესად ხორციელდებოდა გერმანიიდან (ევროკავშირიდან საქართველოში მთელი იმპორტის 19.9%), რომელსაც მოჰყვებოდნენ ბულგარეთი (14.2%) და რუმინეთი (12.5%);
- ევროკავშირში ექსპორტირებული ძირითადი საქონელი იყო საწვავი და წიაღისეული (70.5%), რასაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები მოჰყვებოდა (15.5%);
- ევროკავშირიდან იმპორტირებული ძირითადი საქონელი იყო მანქანები და მექანიზმები (32.7%) და საწვავი და წიაღისეული (29.9%).



ექსპორტის დახმარების სამსახური ქართველ ექსპორტიორებს აწვდის ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორ გავიდნენ ევროკავშირის ბაზარზე

ექსპორტიორთა დახმარების სამსახური ევროკომისიის ონლაინ სამსახურია, რომელიც იძლევა უფასო ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს ექსპორტირება ევროკავშირში. (http://exporthelp.europa.eu/thdapp/index_en.html)

სულ რამდენიმე დაწკაპუნებით ქართული კომპანია აღმოაჩენს:

რომელი კანონები და მარეგულირებელი ნორმები უნდა შეასრულო, რომ ევროკავშირის ბაზარზე შევიდე?

ამ ვებგვერდზე თქვენ ნახავთ იმ მოთხოვნების სრულ ჩამონათვალს, რომლებიც უნდა დააკმაყოფილოს თქვენმა პროდუქტმა, ევროკავშირის ბაზარზე რომ შევიდეს.

მაგალითად, რომელი სანიტარიული მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს ჩემმა პროდუქტმა, შესაძლებელი რომ იყოს მისი შეტანა ევროკავშირის ბაზარზე?

რა დამიჯდება პროდუქტის ექსპორტირება?

აღნიშნული სამსახური დაგიანგარიშებთ იმპორტის ტარიფს თქვენი პროდუქტისათვის და მოგაწვდით ინფორმაციას იმის შესახებ, რომ თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ შეღავათიანი ტარიფით.

რა საბაჟო მოსაკრებლებია გადასახდელი ევროკავშირის ბაზარზე შესვლისას?

როგორ უნდა მივიღოთ უფლება შეღავათიანი ტარიფის გამოყენებაზე?

აღნიშნული სამსახური მოგაწვდით ინფორმაციას თქვენი შემთხვევის შესატყვისი შეღავათიანი სავაჭრო შეთანხმებების შესახებ, ასევე იმის შესახებ, თუ როგორ განახორციელოთ ისინი, გარდა ამისა, განგიმარტავთ, თუ როგორ დაადასტუროთ თქვენი პროდუქტის წარმომავლობა.

ვიცი, რომ შემიძლია ვისარგებლო GSP+–ით, მაგრამ რა დოკუმენტების წარმოდგენა დამჭირდება?

ვინ აწარმოებს იმპორტს/ექსპორტს?

აღნიშნული სამსახური დაგეხმარებათ ბაზრის კვლევაში – იგი მოგაწვდით დეტალურ სტატისტიკას ევროკავშირის სავაჭრო ბრუნვაზე პროდუქტების მიხედვით.

როგორია თხილით ვაჭრობის მოცულობა გერმანიასა და საქართველოს შორის?

ვისთან შემიძლია ვაწარმოო ბიზნესი?

აღნიშნული სამსახური მოგაწვდით ევროკავშირის კომპანიების ჩამონათვალს, ვისთანაც შეგიძლიათ დაამყაროთ სავაჭრო ურთიერთობა.

სად და როდის არის დაგეგმილი ევროკავშირის ყველაზე დიდი სასურსათო ბაზრობის მოწყობა?

ექსპორტთან დაკავშირებული ტექნიკური დახმარების სამსახური ბევრ ქართულ კომპანიას გამოუყენებია წარმატებით სხვადასხვა სექტორში 2004 წლიდან. დამატებითი ინფორმაცია ამ სამსახურით სარგებლობის შესახებ შეგიძლიათ მოიპოვოთ ევროკავშირის წარმომადგენლობაში და საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოში.

საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოების დახმარება ევროკავშირის რეგიონული პროგრამის **East Invest** მეშვეობით

East Invest წარმოადგენს ინვესტირებისა და ვაჭრობის ხელშეწყობის რეგიონულ პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას. პროექტი ევროპის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში იქნა წამოწყებული.

East Invest

პროექტი დახმარებას უწევს ბიზნესის მხარდამჭერ ორგანიზაციებს და მცირე და საშუალო საწარმოებს აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსი ქვეყნიდან (აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვის რესპუბლიკა, საქართველო, სომხეთი, უკრაინა), რომელთაც აქვთ ევროკავშირთან ურთიერთთანამშრომლობისა და საინვესტიციო ურთიერთობების განვითარების პოტენციალი.

პროექტის ძირითადი ამოცანებია ინვესტიციებისა და ზოგადად ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეწყობა ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის, ასევე ექვს სამიზნე ქვეყანას შორის; "აღმოსავლეთის ალიანსის" ჩამოყალიბება ორივე მხრიდან ბიზნეს-ორანიზაციების მობილიზების გზით, რათა მათ დაამყარონ სტაბილური პარტნიორობა და დიალოგი როგორც კერძო სექტორში, ისე საჯარო ხელისუფლებასთან; ასევე რეგიონში მცირე და საშუალო საწარმოებისთვის საერთაშორისო ასპარეზზე გასასვლელად კონკრეტული საქმიანობის დაგეგმვა

პროექტი East Invest რეგიონში არსებულ ბიზნესის მხარდამჭერ ორგანიზაციებს და მცირე და საშუალო საწარმოებს სთავაზობს სხვადასხვა სახის ტრენინგს საერთაშორისო ასპარეზზე გასვლასთან და ვაჭრობის ხელშეწყობასთან დაკავშირებულ სფეროებში.

პროექტის განხორციელება 2010 წლის ნოემბერში დაიწყო და იგი 2013 წლის ოქტომბრამდე გაგრძელდება.

ევროპელმა და ადგილობრივმა ტრენერებმა ტრენინგი ჩაუტარეს 6 სექტორში (სასოფლო-სამეურნეო საკვები პროდუქცია, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მდგრადი მშენებლობა, ტექსტილი, ტურიზმი, ტრანსპორტი და ლოგისტიკა) მომუშავე 38 ქართულ კომპანიას და ის კომპანიები, რომლებმაც ტრენინგი წარმატებით დაასრულეს, მიიწვიეს სავაჭრო ბაზრობებზე მათ კონკრეტულ სექტორებში ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყანაში. პროექტი East Invest-ის ფარგლებში მცირე და საშუალო საწარმოებისთვის კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა არსებობს და დაინტერესებულ კომპანიებს, რომლებიც ზემოხსენებულ სექტორებში მუშაობენ, ვთავაზობთ, დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდნენ პროექტის ვებგვერდზე (www.east-invest.eu) მითითებულ ადგილობრივ პარტნიორებს.

უახლოესი პერიოდის ღონისძიებები ვაჭრობის სფეროში:

- **29-30 მაისი:** დიდი ფორუმი ინვესტორებისათვის პროგრამა Eასტ Iნვესტ-ის ფარგლებში, თბილისი
- **3-4 ივნისი:** ევროკავშირ-საქართველოს ქვეკომიტეტის მე-12 შეხვედრა ვაჭრობის, ეკონომიკისა და მათთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებზე, თბილისი
- **3 ივნისი:** ვაჭრობის გენერალური დირექტორატის შეხვედრა ბიზნეს-საზოგადოებასთან, თბილისი

აღნიშნულ ღონისძიებებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ბ-ნ ანტონიო ლო პარკოს (antonio.lo-parco@eeas.europa.eu)